საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა

# საქართველოს სიძველენი

## ტომი III, დამატება.

К 3060/3

ტფილისი — 1926

დაიბეჭდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგა-
დოების საბჭოს დადგენილებით (ოქმი № 243).

რედაქტორი ს. ჯანაშია

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრ. 1-ლი სტამბა, პლეხ. პრ. № 91.

8/VI—26. შეკვ. № 7871/1267. მთავ. ლიტ. 23. ტირ. 950.

# წინასიტყვაობა.

ქვემდებარე გამოცემას საფუძვლად დაედო ის ერთი თაბახი, რომელიც ე. თაყაიშვილის რედაქტორობით ჯერ კიდევ 1911 წელს დაიბეჭდა სპ. ლოსაბერიძის სტამბაში და რომელიც „საქართველოს სიძველენი“-ს მორიგი, IV, ტომის პირველსა, და ამასთანავე ერთადერთ დასტამბულს, რვეულს წარმოადგენდა. ვინაიდან აღნიშნული ტომის ბეჭდვა, სხვადასხვა მიზეზების გამო, შეწყდა და რადგან საზოგადოების საბჭოს სასურველად აღარ მიაჩნია საბუთების ძველი წესით გამოქვეყნება, საბჭოს დადგენილებითვე (საბჭოს სხდომის ოქმი № 243, 9---XII 1925) ბროშურა გამოდის III ტომის დამატების სახით. ამასთანავე, უკანასკნელი საბუთის ტექსტი ნაწილობრივ ახლად არის გადმოწერილი და დაბეჭდილი (გვ. 17—18), ხოლო დანარჩენი საბუთები კიდევ ერთხელ შეჯერებულია დედნებზე, როცა ეს უკანასკნელნი ხელისაწვდომი იყვნენ გამოცემის მეთვალყურისათვის. ამ შემოწმების შედეგები აქვეა დართული Addenda et corrigenda-ს სახით.

ტფილისი, 23. VI. 1926.

# შ ი ნ ა ა რ ს ი.


გვერდი.

1. 1170 წ. გიორგი III-ის სიმტკიცის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი . . . . . . . . . . . . . 1
2. 1365 წ. დავით გიორგის ძის წყალობის სიგელი (ბრძანება?) ეზოს ჩუხჩერახის პიპოსადმი . . . . . 7
3. 1426 წ. ალექსანდრე დიდის წყალობის სიგელი ზევდგინისძეთადმი . . . . . . . . . . . . . . . 7
4. 1429 წ. ალექსანდრე დიდის წყალობის სიგელი ზევდგინისძეთადმი . . . . . . . . . . . . . . . 9
5. 1430 წ. ალექსანდრე დიდის წყალობის სიგელი ზევდგინისძეთადმი . . . . . . . . . . . . . . 12
6. 1453 წ. გიორგი IX-ის წყალობის სიგელი ზევდგინისძეთადმი . . . . . . . . . . . . . . . . . . 14
7. 1460—1465 წ. გიორგი IX-ის საფიცრის წიგნი ზევდგინისძეთადმი (?) . . . . . . . . . . . . 15
8. 1477 წ. მეჯინიბეთუხუცესის მამისა ზევდგინისძის ანდერძის წიგნი თავის ძმისწულის ზაქარიასადმი 16

# საქართველოს სიძველენი

1. გუჯარი მეფე გიორგი მესამისა, მიცემული შიომღვიმის მონასტრისათვის, 250×22,5 სანტიმეტრი, დაწერილია თხელს, მაგრამ მტკიცე ეტრატზედ მეთორმეტე საუკუნის ლამაზის მხედრულის ხელით და შავის მელნით. ნიშნებათ იხმარება ზოგჯერ ორ-ორი წერტილი და ზოგჯერ აზრის დამთავრების ბოლოს ორი წერტილი და ხაზი :- ეტრატი შესდგება ხუთი ერთმანეთზე აბრეშუმის ძაფით მიკერებულის ნაჭრებისაგან. ტექსტი მოქცეულია პირველ გვერდზე ეტრატისა. მეორე გვერდზე შემდეგ დროის მხედრულის ხელით აწერია: „ქ: სიგელი ც(ი)ხედიდისა, ცხვარისა, ცხირეთისა, გავაზისა, გველდეზისა, ბჭიტისა და ჯვარის კოდმანისა, აგარისა“. ამას ზემოთ ნუსხა ხუცურის ხელით და მქრალის მელნით ცოტა შეცვლით იგივეა გამეორებული. ამ გუჯრით მეფე გიორგი მესამე უახლებს შიომღვიმის მონასტერს ყველა ძველ გუჯრებს და უმტკიცებს მამულებს, რომელნიც მიუციან მონასტრისათვის წინანდელ მეფეებს, თუ დიდებულებს. გუჯარი გადმოსცა ჩვენ საზოგადოებას მღ. პოლიევქტ კარბელაშვილმა. მის მიერვე იყო დასტამბული პირველად ამ გუჯრის ტექსტი გაზეთ ივერიაში 1901 წ. №№ 6 დ 7. გუჯარი დაწერილია მეთოთხმეტე ინდიკტიონს გიორგი მესამის მეფობისა. ეს უდრის 1170 წელს: გიორგი მესამე გამეფდა 1156 წელს (1156+14=1170). ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სიგელი მიცემულია გიორგი მესამისაგან და არა სხვა გიორგი მეფისაგან: სიგელის მიმცემი გიორგი თავის მამად იხსენიებს მეფე დიმიტრის და პაპად მეფე დავითს. მართლაც გიორგი მესამე იყო ძე დიმიტრი პირველისა და შვილის-შვილი მეფე დავით მეორისა აღმაშენებელისა, ასე რომ დავით აღმაშენებელი გიორგი მესამის პაპა არის. გუჯარში მოხსენებულია ჩვენამდის

მოღწეული ანდერძი დავით აღმაშენებელისა. არა თუ ეგ ანდერძია მოხსენებული, არამედ ჩამოთვლილია ყველა ის პირნი, რომელთაც მეექვსე საუკუნიდან მეთორმეტე საუკუნემდის შიომღვიმისათვის შეუწირავთ მამულები, ანუ რომელთაგან მონასტერს უყიდია ადგილები. ეს გუჯარი გვიმოწმებს სინამდვილეს ბევრ ცნობათა, რომელნიც ქართლის ცხოვრებიდან და სხვა საბუთებიდან ვიცით. ამას გარდა გუჯარი ხელს უწყობს მეფის კარის გარიგების და სახელმწიფო წეს-წყობილების შესწავლას. აქ მოხსენებულია ზოგი ისეთი გადასახადები, რომელნიც სხვა წყაროებში არ არიან ცნობილნი. ამიტომ ეს გუჯარი ძვირფასი საბუთია ჩვენი წარსულის შესასწავლათ. გუჯარს ამტკიცებს თავის ხელის მოწერით მეფე გიორგი.

1170. „ქ. სახელითა ღ~თისაჲთა, გ ი ო რ გ ი ს ა გ ა ნ (გ~ისგან) ბაგრატუნიანისა, ნებითა ღ~თისაჲთა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და აღმოსავლისა და ჩრდილოჲსა მფლობელისაჲ:- მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი (ჩ~ნ წ~ე წ~ნი) მამანი უდაბნოჲსა დიდისა მღჳმისანი, მამაჲ ი ო ა ნ ე (ი~ნე) მემღჳმე, და მოიხუნეს სიგელნი დიდისა მეფეთა მეფისა, პაპისა ჩუენისა, დ ა ვ ი თ ი[ს ი] და მამისა ჩუენისა (ჩ~ნსა) დ ე მ ე ტ რ ე (დ~ე) მეფისანი და სხუანი ძუელნი მრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანი, და გუეჭაჯნეს და მოგუაჴსენეს, რ[ათა]მცა ვითა მათ სიგელითა მათითა გაუჩუნია ~ გაუგია პირუელად (პ~ლდ) თჳთ წმიდისა მის უდაბნოჲსა მღჳმისათჳს და მერმე ყოელნი სოფელნი მათნი გაუთავისუფლებიან ყოვლისა მაწუენრისა მათისა და დამაჭირებლისა და ჩუენთა ჴელისუფალთა შესვლობისაგან, ეგრეთვე ჩუენ გაუახლენით ძუელნი სიგელნი სიგელითა ჩუენითა და დავამტკიცეთ ბრძანებაჲ (ბ~ბაჲ) და სიგელი პაპათა და მამათა ჩუენთაჲ:- ჩუენ ვისმინეთ ჭაჯაჲ მათი და მოჴსენებაჲ, და დიდთა მეფეთა პაპისა ჩუენისა და მამისა ჩუენისა ბრძანებანი და სიგელნი ამით ჩუენითა სიგლითა გაგჳახლებიან და მათნი დაგჳმტკიცებიან. პირუელად (პ~დ) თჳთ წმიდაჲ იგი უდაბნოჲ მღჳმე, ვითა ყოვლათურთ უწყენარი ყოფილა და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან, ეგ-

რეჳე იყოს, ვითა თჳთ პაპისა ჩუენისა ანდერძსა სწერია[1]. ნუმცა ვის უკადრებია მას ზედა სიტყუისა შემოღებაი და ცილობაი. მერმე აგარანი მათნი სახელდებით სოფელი ს ხ ა ლ ტ ბ ა ი და მათი კერძი გ ო რ ო ვ ა ნ ი წმიდისა ე ვ ა გ რ ე ს გ ა ნ მოსყიდული[2]; ა გ ა რ ა ი ჯ ო ჯ ი კ ი ს გ ა ნ მთავრისა მოსყიდული[3]; რ უ ე თ ი ნასყიდი და შემოწირული; შ ი ო ი ს-უ ბ ა ნ ი ყოველი (ყ~ლი) მოსყიდული თჳთ მონაზონთა მეუდაბნოეთაგან[4]; ჩ ი ქ უ ნ უ რ ნ ი რ უ ს ი ს ა ნასყიდნი, მისგან აშენებულნი და შემოწირულნი[5]; ხ ო რ ვ ა ი მამისა ჩემისა ნაბოძვარი სამღუიმოდ, გ ო გ რ ა ჯ ი ს ა გ ა ნ შემოწირული; ი ვ ა ნ-წ მ ი დ ა ი ძუელადვე გ ო დ ე რ ძ ი ს ა შემოწირული[6]; დ ა ო თ ი კ ვ ი რ ი კ ე (კ~ე) კახთა მეფისაგან შემოწირული[7]; ა ლ ა ჯ ი ნ ი ხ ა ხ ვ ლ ა გ ი ს ა გ ა ნ შემოწირული;

---

[1]) აქ იხსენიება გუჯარი, გუჯარშივე ანდერძად წოდებული, რომელიც დავით აღმაშენებელმა მისცა შიომღვიმის მონასტერს შირვანზე გალაშქრების წინ 1123 წ. და რომელმაც ჩვენამდის მოაღწია. ამ გუჯარით დავითმა გაანთავისუფლა შიომღვიმის მონასტერი ყოვლის ხარჯისაგან და მიანიჭა თვით-გამგეობა. იხ. თ. ჟორდანია: *Завѣщаніе царя Давида Возобновителя, данное Шіо-мгвимской лаврѣ въ 1123 г.*

[2]) სოფლები სხალტბაი და გოროვანი მდებარეობენ შიომღვიმიდან ოთხი ვერსის მანძილზედ ჩრდილოეთით. ევაგრე თანამედროვე იყო წმიდა შიოსი, ბერათ შედგა და დაემოწაფა წმიდა შიოს მეექვსე საუკუნეში.

[3]) ჯოჯიკი მთავარი ქართლისა იყო ტაოელი, სცხოვრობდა მეათე საუკუნეში და თორნიკე ერისთავთან ერთად მონაწილეობას იღებდა ბარდასკლერიოსის დამარცხებაში. ამ ჯოჯიკზე უნდა იყოს აქ საუბარი.

[4]) შიოის-უბანი ნაწილია მუხრანისა და ეხლაც შიოის-უბნათ იწოდება. პ. კ.

[5]) პ. კარბელაშვილის აზრით ჩიქუნურნი უნდა იყოს ნასოფლარი ჩანგილარი სოფ. ალაიანის ზემოდ, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზედ.

[6]) გოდერძი ერისთავი მეათე საუკუნეში ცხოვრობდა (ქ.-ცხ. ტ. I, გვ. 203).

[7]) აქ მოხსენებული კვირიკე კახთა მეფე უნდა იყოს კვირიკე პირველი, რომელიც მეათე საუკუნეში ცხოვრობდა.

თრიალეთს ბჟითი ადრნესესგან ნასყიდი და შემოწირული¹); მანგლისკევს ბორცუის-ჯუარი ძუელადვე მღუმისა დიჭარიტეთგან (დი˜ტეთგან) წაღებული, აწ ახლად პაპისა ჩემისა დიდისა მეფისა დავითისაგან შემოწირული²); მოყუანელთა, ფერკადის და ფიცეს წყროლმანად გლეხები; ცხირეთს ცხევერი და გავახელნი წმიდის შიოის ოქროითა და ვეცხლითა მონასყიდი ფავნელთა და ტბელთაგან³); კობალი, რაიც რატი სურამელისაგან შემოწირულია⁴), და მათ მიდამოთა რაიცა გლეხები ნიჩბის, სახორს და ყოელგან სადმე მოსყიდული და შემოწირული. მესამედ ციხედიდს გლეხნი ძუელადვე ნასყიდნი, მათითა სამართლითა, ტყითა, წყლითა, ველითა, საკმრითა და უკმრითა, ვითა კათოლიკე ეკლესიისა აქუს საკმარებლად, რაიცა საკმარებელი, ესე ყოველნი მათნი საქონებელნი, შეუვალ გუიქმნიან ყოვლისა მესავლისაგან, თუით ჩუენისა სასყეფოისა და ყოვლისა მათისა მოახლისაგან, ვითა ძუელითგან შეუვალნი საერისთვოისა (საე˜ვოისა), საციხისთვოისა და საშურტაოის ყოვლისაგან; ეგრეთვე ქალაქს რომელ ქულბაგნი აქუსნ, ხუთნი სპარსობითგანვე და ოთხნი რომელ (რ˜ლ) უკანის მოუყიდიან ჯ

---

[1]) აქ მოხსენებული უნდა იყოს მეფე ადარნასე მეორე, ძე დავითისა, რომელიც 923 წელს გადაიცვალა.

[2]) ბორცვის-ჯვარი პირველად შესწირა შიო-მღვიმის მონასტერს ბაგრატ მეოთხემ 1058 წ. და ამ შეწირულობის სიგელმა მოაღწია ჩვენამდის და გამოცემულია ფაქსიმილეთი ჩემ მიერ (იხ. *Сигель грузинскаго царя Баграта IV. Зап. Восточн. Отд. Имп. Русск. Археол. Общ. т. IX*). ლიპარიტ მესამე ორბელიანი რამოდენიმეჯერ წინააღუდგა ბაგრატ მეოთხეს და მიითვისა სომხეთ-თრიალეთი, მაგრამ ძლეულ იქმნა და ბერათ შედგა ათონის მთაზედ.

[3]) ამ მამულების ნასყიდობის პირი და არა დედანი დაცულია, როგორც მინაწერი სინოდალურ კანტორის გუჯარზე № 67 და დასტამბულია თ. ჟორდანიას მიერ (ქრონ. I, გვ. 87—88).

[4]) რატი სურამელი ერისთავი ქართლისა თანამედროვეა გიორგი მესამის და თამარ მეფისა (ქ.-ცხ. I გვ. 283).

შემოუწირავს [1]), თავისუფალნი და უხარკონი საამიროისა, საამილოისა, სარაისოისა, საგუსტასიბოისა და ყოვლისა სანუკვრისაგან:- ეგრეთვე წმიდაი იგი უდაბნოი მ ღ უ ი მ ე ჰირველად და მერმე საქონებელნი მათი-ნი უბაჟონია ჩუენსა სამეფოსა შიგან ყოველგან (ყ˜ლგან), და ჩუენცა გაგუითავისუფლებიან ბაჟისაგან ვაჭარნი და გლეხნი მათნი, ცხუარნი მათნი და მათთა სოფელთა ც ხ ე ვ ე რ ე ლ თ ა, გ ა გ ა ზ ე ლ თ ა, ც ი ხ ე-დ ი დ ე ლ თ ა და ს ხ ა ლ ტ ბ ე ლ თ ა ს ნ ი, ვით ძუელითგან უსაბანჯრონა ყოფილან, ეგრეთვე ჩუენგან შეუვალნი, და ნუ ვისგან აელების საბანჯ-რე:- მათნი სოფელნი ი ო ა ნ ე ქათალიკოზისა მინიჭებითა ყოველგან და პაპისა ჩემისა დიდისა მეფისა დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ მათისა ეკლესიისათჳს ბოძებულნი, რომელ (რ˜ლ) სასჯულოი მოსავალი სანთლად მოაჴმარონ, ეგრეთვე აწ გუიბრძანებია და დაგუიმტკიცებია ჩუენ, რომელ (რ˜ლ) მათთა სოფელთა სასჯულოსა ნუ ვინ ეცილების, და თჳით ქ ა ნ დ ა ი მათი სა-ფურე და მისსა მზღვარსა შიგან აშენებული მამისა ჩემისაგან. წ უ ა ლ-მ ა ტ რ ო ა ნ ი, ვითარად მამასა ჩემსა მოუცვალებია, იგი ჩუენ მოგუი-ჴსენებია, მასვე ეკლესიასა პაპისა ჩემისა აღშენებულსა ჰქონდეს მათი მოსავალი სასჯულოი ყოველი, და ქ ა ნ დ ა ი ს ა ნაცვალი ჩუენ მოვაჴ-სენოთ წმიდასა შიოს, სადაცა მეღუიმემან ინებოს. მამისა ჩემისა მ უ ხ ნ ა რ ს ა შენებასა შიგა თუის თავსა ერთსა დღესა სამუშაოი ექ-ნევისა მათთა სოფელთა და რ უ ე თ ი ს ა და ს ხ ა ლ ტ ბ ი ს ა დ ა და ზედა დასდებოდა ჴელისუფალთა ჩუენთაგან და იგიც გაგუიშუია, ნუ-ცა რ უ ე თ ს ა და ს ხ ა ლ ტ ბ ა ს ა და ნუ რომელსა სოფელსა მათსა რაი ექნევის, ნურაი სამუშაოი ჩუენი სასეფოი, თუინიერ საჴნავი გუ-მსახურონ ორი დღე რ უ ე თ ე ლ თ ა, შ ი ო ი ს-უ ბ ნ ე ლ თ ა და ჩ ი-ქ უ ნ უ რ ე ლ თ ა, ამან სამმან სოფელმან, და ორი დღე სამკალი ამათვე სამთა სოფელთა რ უ ე თ მ ა, შ ი ო ი ს-უ ბ ა ნ მ ა და ჩ ი ქ უ ნ უ რ თ ა:- ოთხთა ჭურისა მრ(ე)ცხელთა ს ხ ა ლ ტ ბ ე ლ თ ა მარანსა ჩუენსა ტყე-კორათა მო-სცემდენ სამსა კუირასა:- სამართალი სამძარცვი-შემძებლოი არცარაი წინაის შესრულა, ნუცა სადა აწ შევლენ ჩუენნი მძარცვი-შემძებელნი, თუინიერ თუ გარეთი ნაძარცვი შეღაჴდეს მღუიმისა გლეხსა, თუ მრავალჯერ ეძა-

---

[1]) ქულბაქანი სპარსთა დროითგან და შემდეგ შექმნილში ზემოთ დასახელებულ დავით აღმაშენებელის ანდერძშიც მოხსენებულნი არიან.

როს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპატიყონ, და თუ გარდიხუეწოს სხუაგან, სდევდენ ჩუენნი ჩენილნი და მისსა საქონელსა თანა არაი საქმე უც ჩუენთა მპარავთ-მეძებელთა, თუით მემღუიმისა ჴელისუფალმან თავნი ნაპარევისა პატრონსა შეუქცივნეს და სამართალი წმიდის უდაბნოისათუის აიღოს:- ბაზიარნი ერთსა დღეღამესა ა გ ა რ ა ს დადგენ უწყენლად, ზემოით მომავალნი, მეტად ნუოდეს დადგებიან. სხალტბელთა წ ყ ა ლ შ ა ტ რ ო ა ნ ს პატივსცენ ბაზიართა:- მონადირენი ჩუენნი ნუ სადა შეუდგებიან, ნუ რომელსა სოფელსა მათსა. რაოდენ ქ ა ნ დ ა ი მონადირეთა სადგომად მოიცვალა მამან(sic) ჩუენმან მეფემან დ ე მ ე ტ რ ე მღუიმისაგან და ნაცვალი ჩუენ მოვაჴსენით წმიდასა მამასა შ ი ო ს ა. და ქ ა ნ დ ა ი მონადირეთა სადგომი არს:- ა გ ა რ ი ს ა სოფელმა ერთი ტაიჭი შეგუინახოს თორმეტითა რემითა მათ რემათა დაცვამდე და სხუათა სოფელთა მათთა მერემაენი ნუცა სიახლესა დადგებიან, ნუცარას აწყენენ, ნუცა ტაიჭთა უძოებენ, ნუცა კაცსა (კ˝ცსა) წაჰგურიან მძოვნებელსა. ჩუენთა სასეფოთა ადგილთა შიგა დადგენ და მღუიმისა სოფელთა თანა არაი საქმე უც მერემაეთა:- მეჯორენი ნუცა სადა მათსა შიგა დადგებიან, ნუცა სადა შეესიძებიან, ნუცა მერემაენი, ნუცა მეჯორენი, ნუცა მანდატურნი, ნუცა მესაწოლენი და ნურაი დარბაზის ერი, ნუ რომელი (რ˝ლი), ყოვლითურთ უწყენრად იყოს იგი წმიდაი უდაბნოი. ესე ყოველი (ყ˝ი), ვითა გუიბრძანებია და დაგუიწერია გაჩენით წმიდისა უდაბნოისა მღუიმისათუის, ნუმცა ვის უკადრებია წყენაი, ნუცა მას წმიდისა უდაბნოისა მღუიმისაი, ნუცა მათთა საქონელთაი ნურაი დაჭირებაი, ნუ ქათალიკოზთა (ქ˝კზთა), ნუცა სხუასა ეპისკოპოსსა, ნუცა ერისთავთ ერისთავთა, ნუცა აზნაურთა, ნუცა ჩუენთა ჴელის-უფალთა, ნუცა ციხისთავთა, ნუცა ჩინებულთა და ნურას გუარსა კაცსა ნუ, რათა (რ˝ა) ღმერთმან წმიდისა ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოის მადლითა და წმიდათა მემღუიმეთა ლოცვითა ამას საწუთოსა წარმართებაი მოსცეს მეფობასა ჩუენსა და მერმესა ცხორებასა ბრალთა ჩემთათუის შემწე მეყოს წმიდაი მამაი შ ი ო წინაშე ქრისტესსა:- აწ, ვინცადა ნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, ყოვლითავე დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ თუინიერ შეწევისა და თანადგომისა, და თქუენ, წმიდათ მამადმთავართ ქათალი-

კოჳთა და წმიდანთა მღდელთ-მოძღუართა, უცუაროებითა დაამტკიცეთ:- დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა: ი~დ: ჴელითა მწიგნობრისა ჩუენისა დ ა ნ გ ა ბ რ უ ტ ა ი ს-ძ ი ს ა ი თ ა:-

შემდეგ თვით გიორგი მეფის ხელით:

„ქ. მტკიცე არს ნებითა ღ~თისაითა“.

**2.** სიგელი დავით მეფისა, გიორგი ბრწყინვალის ძისა, 24 X 14 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე მეთოთხმეტე საუკუნის მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ქართლის ცხოვრებაში (I, გვ. 451) ამ დავითის სიკვდილი აღნიშნულია 1360 წ. ამ ფრიად საყურადღებო სიგლის მიხედვით იგი ცოცხალი ყოფილა კიდევ 1365 წ. გასულს. ამით სწორდება ცნობილი ქრონოლოგია. ხელის მოწერა დავით მეფისა თუმცა დაცულია, მაგრამ ისეთი ხვეულით არის დაწერილი, რომ ძნელი გამოსაცნობია „მეფე დავით“ იკითხება, თუ სხვა სიტყვები. სიგელი გადმოგვცა მღ. პ. კარბელაშვილმა

1365. ქ. ჩუენ, მეფეთა მეფესა დ ა ვ ი თ ს, ესე ბრძანებაი (ბ~ბაი) ამისად ნიშნად გუიბოძებია, ქესოს ჩუხჩერახთა ჯ ი ჯ ო, გარს ქისიყე-ლისეულდი მამული შენთის(sic) გუიბოძებია, სამართლიანი გასუიდული და დაწინდულიც; ყუელა შენ მოიგდე და გქონდეს ერთგულად სამსახურ-სა შიგა მეფობისა ჩუენისსა, ურდოს ლაშქარს შინა და გარე ყუელგან. დაიწერა ბრძანებაი ესე ქკ~ნსა: ნ~გ: დეკემბერსა: ლ~ა: ჴელითა კა-რის მწიგნობრისა ჩუენისა ჯ უ რ ი ს ძ ი ს ა ი თ ა. მეფე დ ა ვ ი თ (ხვე-ულად).

**3.** სიგელი ალექსანდრე მეფისა, ბოძებული ავთანდილ და სხვათა ხედვინიძეთადმი. ამ სიგლის ჩვენ მარტო პირი გვაქვს, პოლ. კარბელაშვილის მიერ გადაწერილი, რომელიც არაფრით არ განირჩევა თ. ჟორდანიას მიერ დასტამბულს პირიდან (ქრ. II,

გვ. 229—230). მოგვყავს აქ ეს სიგელი შესადარებლათ ქვემო მოყვანილ სიგლისა, რომლის დედანი ხელთა გვაქვს.

1426. ქ. ჩუენ მეფეთ მეფისა ალექსანდრესგან, დავითიან ბაგრატონიანისა, და თანა მეცხედრისა ჩუენისა დედოფლისა თამარისგან, და ძეთა ჩუენთა კათალიკოზისა დავითისგან, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგისაგან, ნებითა ღ̃თისათა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა შაჰანშაჰა-სა და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა და ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა, აღმოსავლეთ-დასავლეთამდის თჳთფლობით მტკიცედ მპყრობელისა. მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი ზერდგინისძენი, გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარეხი ავთანდილ, ზერდგინ და თაყა, გუეაჯნეს, რათამცა სიგლითა ამით შეგუეწყალენეს, და ვისმინეთ აჯა მათი და მიუბოძეთ ქარუმის ძე ქავთარ და მისი შვილი და მომავალნი სახლისა მათისანი, მათითა მამულითა, საყდრითა, სახლითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა და ბარითა, საჴმრითა და უჴმრითა, მისითა სამართლიანითა ერთობ ყუელაითა სამკჳდროდ, სამამულოდ და უცილებლად ყოვლისა დაბადებულისაგან, მოგვიცემია ქარუმისძე ქავთარ და მისნი შვილნი თქუენ ზერდგინისძეთათვის ავთანდილისათუის, ზერდგინისათუის და თაყასთუის, ვერავინ დაგეცილოს ქარუმისძესა ქავთარს, მისთა შვილთა და მომავალთა და რასცა დღეს მქონებელი არის, ვერასა ყმისა შემოსრულობისათუის ვერასა ყმასა შიგან ვერა. და თუ ვისრა ამა ჩუენგან ბოძებულისა წიგნი და ნიშანი აქუს, ყუელა ამა სიგლითა გაგვიცუდებია და მტკიცე ესე იდენ არის, ჴელმოხსნით და ყოვლისა დაბადებულისაგან უსარჩლელად მოგვიხსენებიან თქუენ ზერდგინისძეთა ავთანდილისათუის, ზერდგინისათუის და თაყასთუის ქარუმისძე ქავთარ და მისნი შვილნი მათითა მამულითა და საქონებლითა ყუელათა, და არავინ გვიბრძანებია. მძლეველ და მქცეველი მტკიცედ ბოძებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუნებლე, მავნე და დამაკლებელი. აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა [მეფეთა] და დედოფალთა, ერისთავთ-ერისთავთა

და კარისა ჩუენისა ვაზირთა, მოსაქმეთა, მეჯინიბეთა, მერემეთა, მეჯუ-ლდუფეთა, პურისა და საკლავისა მკრებელთა, ტყუისა მპარავთა, მეულა-ყეთა, მემეძებრეთა, მესაბანჯრეთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლე-ნილთა მსახურთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცები და ნუ ვინ უშალავთ მტკიცედ ბოძებულსა ამას ჩუენსა და ნურცარას ვინ დააკ-ლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თჳნიერ შეწევნისა და თანა დგო-მისაგან კიდე. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონ-სა მეფობისა ჩუენისასა იგ, ჴელითა კარის მწიგნობრისა ჩუენისა გლიში გაგლაჩასძისათა. რაცა მისის ძმის ჩხუტელა-საგან მამული [ჰქონებია]. მათა მამულითა მოგვიცემია მკვიდრად და სამამულოდ.

ხელჩართულად ხელის მოწერა მეფის ალექსანდრესი და შემდეგ:

მე ვახტანგს დამიმტკიცებია.

მე დემეტრეს დამიმტკიცებია.

**4.** სიგელი ალექსანდრე მეფისა, ბოძებული გორის მოურავის ავთანდილ ზედგინისძისადმი, 94×25 სანტ., დაწერილია ქაღალდზე მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. სიგელი ძლიერ დაზიანებულია, თავი არა აქვს, კიდეები გაფუჭებულია და ბოლოსკენ ქაღალდი დაწეწილი. დედანი გადმოვცა გიორგი ოთარის ძე ამილახვარმა.

1429. ...ისგანანა და კასპი და იგო[ეთი][1]... იგი... [მოგ]ეცით ცისითა, მონასტრითა, ეკლესითა, გლეხებითა, ყანითა, ვენაჴით[ა], წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრათა, ყოველითა საჴმარითა და უჴმარითა და მისითა სამართლიანითა, რაცა იგოეთის ზღვარნი და შესავალნი არიან, [მის]ითა ყუავლათა უკლებრად

---

[1]) სოფლები—იგოეთი და კასპი მდებარეობენ სამთავისიდგან ორ ვერსტზედ და კასპი ათ ვერსტზედ, ორივე მდ. რეხულის მარჯვენა მხარეს. პ. კ.

...ი გომნი, ნადარბაზევი იაჯნეს და როგორცა არ დაეწყალ... ჩუენთა დიდად ერდგულთა და თავდადებით ნამსახურთა ჩუე[ნთა] ზედგინისძეთა, ეზოს ჩუხჩარეხსა და გორის მოურავსა ავთანდილს, ჩუენთა თანა შეზრდილ-გაზრდილთა, მოლარეთ უხუცესსა თაყასს და ზევდგინს, აგრე არ დაუწყალობეთ და ვაჯეთ და მივეცით [დიდის სას]ხლოთა, გლეხებითა, მზღვრითა, მთითა [და] ბარითა მისითა, უკლებლად ერთობ ყუალათა მიუბოძეთ და მივეცით სა... და სამამულოდ და მოუდევრად და აუცილებელად ყოვლის [და]დებულისაგან. გუიბოძებია და მოგუიცემია თქუენ ჩუენთა ერდგულთა და თავდადებით ნამსახურთა ზევდგინისძეთა, ეზოს [ჩუხჩარეხსა] და გორის მოურავსა ავთანდილს და ჩუენთა თანა შეზრდილ [გაზრდი]ლთა, მოლარეთუხუცესსა თაყას და ზევდგინს და შვილთა და მომავალთა ყოველთაოუისვე სახლისა თქუენისათა კასპი და იგოეთი... ქალის ნასისხლად ციხითა, მონასტრითა, აზნაურითა, გლეხებითა, ვენაკითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სამ[ზღვარ]-მზღვრითა, მთით და ბარითა, საკმრითა და უკმრითა, მისა მიმდგამითა და შესავლითა, ერთობ ყუალათა. ამას აქათი ნა[დარბაზევი], გომნი იაჯეთ და იგი მოგიმატეთ და გიბოძეთ ნადარბაზევი სასახლითა, გლეხებითა, ყანითა, ვენაკითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრითა. მთითა და ბარითა, საკმრითა და უკმრითა, მისითა შესავლითა, ერთობ უკლებლად ყუალათა. ქონდეს თქუენ, ზევდგინისძეთა ეზოს ჩუხჩარეხსა და გორის მოურავსა ავთანდილს და ჩუენთა თანა შეზრდილ-დაზრდილთა, მოლარეთ უხუცესსა თაყასა, და ზევდგინს, კასპი და იგოეთი ნასისხლად ციხითა, მონასტრითა, აზნაურითა, გლეხებითა, ყანითა, ვენაკითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრითა, მთითა, ბარითა, საკმრითა და უკმარითა, მისითა შესავლითა ყუალათა ერთობ უკლებლად. ამას აქათ ნადარბაზევი იაჯეთ და გ[იბოძეთ] ნადარბაზევი და მოგვეცით სასახლოთა, გლეხებითა, ყანითა, მისითა ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, მთითა, ბარითა, ტყითა, სანადიროთა, მზღვრითა, მისითა მიდგამითა და შესავლითა ერთობ ყუალათა. ვერავინ დაგეც[ილოს] ვერა დაბადებული კაცი, ვერასა ყამისა შე-

მოსრულობისა და გამოცვლისათუის, ვერა, ვითა თქუენსა ნასისხლსა და ჩუენგან წყალობა [დამართ]ებულსა მართებს აგრე. და თუ ვინ დაგეცილოს, ჯირნი და ჯასუხის გამცემნი ჩუენ ვართ. და თუ ვის რა ამა ნასისხლისა გასჯ-იგოეთ[ისა] და ანუ ჩუენგან წყალობად ბოძებულისა გ ო მ თ ა ჴ ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ი ს ა სიგელი [ჰქონ]დეს, იგი უქალა ამა დაწერილითა გაგვიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არის. ვინეთგან მოგუპერა ნიავ-სურნელმან ღ~თისა [წყა]ლობისამან და ძალითა და შეწევნითა მის მ[ი]ერითა და ორისავე [ჩუენ]ისა სამეფოსა სკიპტრა-პორფირისა და გვირგვინისა მპყრობელ ვიქმენით, ჩუენგანცა ესე სათასნადო იყო და ვინებეთ ჩუენითა დიდად და თავდადებით ერდგულითა კაცთა სათნოებისათა, განსაგებთა საჴელმწიფოთა ძნიად მიმთხრობითა, რომელ ჩუენისა გაზედასებისა და მორჭმისა და [ადმა]ტებისა მიმდემად შეცდე-დამჭირნენი არიან ზევდგინისძენი, ქზოს ჩუხჩარეხი და გორის მოურავი ავთანდილ და ჩუენთანა შეზრდილ-გაზრდილნი მოლარეთუხუცესი თაყა ჴ ზევდგინ... [გ]უეზედავნეს და მივეცით და მიუბოძეთ სასისხლოდ კასპი და [იგოეთი] სრულად მისითა მზღვრითა და შესავლითა და ამას აქათ ნადარბაზევი სრულად მისითა შესავლითა ესრეთ სამკჳდროდ, სამამულოდ, რომე ზევდგინეთა (sic) გუარისა ქალი იყოს, არცა ოდეს მას წაელოს. ვითა ჩუენსა და ჩუენგან წყალობად ბოძებულსა მართებს, აგრე არას ქუამის მოცვალებისათუის არ მოეშალოს. არავინ გჳიბრძანებია მაქცეველი მტკიცედ ბოძებულისა ამის ჩუენისა და არცა შეუნებლებელი და დამაკლებელი. და ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა და ერისთავთა, გარისა ჩუენისა ვაზირთა და მორავთა(sic), გორისა და ატენის მოურავთა და ციხოსნთა, მეჯინიბეთა, მერემეთა, ბაზიართა, მეულღუფეთა, პურისა და საკლავის მკრებელთა, ტყუის მპარავთა, მეძებართა, მებანჯრეთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა მოსამსახურეთა დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ მტკიცედ ბოძებულსა ამას ჩუენსა და ნურცა ვინ რას დააკლებთ, ნუ დიდსა, ნუ მცირესა, თუინიერ თანა-დადგომისა და შემატებისაგან გიდე. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ქჳნსა: რ ი ზ: ინდიკდიათონსა (sic) მეფობისა ჩუენისასა... [კე]ლითა ფრიად ცოდვილისა და

ყოველთა უნარჩევესისა კარის მწიგნობრისა გ ლ ი მ ი  კ ა გ ლ ა ნ ა ს-ძ ი ს ა თ ა.

შემდეგ მოთავსებულნი არიან ხვეულად და სამ სტრიქონათ ხელის მოწერანი ალექსანდრესა და მისთა ძეთა და ბოლოს სწერია არა ხვეულად:

„ქ: დემეტრეს: დამიმტკიცებია: ნებითა: ღმრთისათა“.

**5.** სიგელი ალექსანდრე მეფისა, ბოძებული ავთანდილ ზევდგინიძისადმი. 84,5×25,5 სანტ., დაწერილია ეტრატზედ მრგვალი მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება სამ-სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

1430. ქ. ჩუენ, მეფეთა მეფისა ალექსანდრესგან და თანა მეცხედრისა ჩუენისა პატრონისა დედოფალთა დედოფლისა და ძეთა ჩუენთა ვახტანგ, დიმიტრი და ზაალისგან, დავითიან ბაგრატონიანისა, ნებითა ღ~თისათა აფხაზთა, ქართველთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა-შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთით დასავლეთამდის თჳთ ფლობით მფლობელ-მპყრობელისა.—მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ძუელით გუარით გამო და ვიდრე მოაქამომდის ერდგულნი და თავდადებით ნამსახურნი ზევდგინისძენი ქზოს ჩუენარები ა ვ თ ა ნ დ ი ლ და მათნი ძმის წულნი, ჩუენნი თანა-შეზრდილ-გაზრდილი და ჩუენისა მორჭუმისა და ამოდყოფისათჳს დღით და ღამე თავდადებით მექმე და მეცდე-დამშჯირნე კაცი, მ ა მ ა დ-კ ა ც ი და ჩუენისა სახლისა განზრახვათა კეთილად მკემებელი და მეცნავ-მიმთხრობი და ყოვლითურთ სათნოებიანი მოლაშქრე-უხუცესი თ ა ყ ა და ბიძის წული ზ ე ვ დ გ ი ნ ჴ გუე-აჯნეს, რათამცა ისდენთა ვალთა და სამსახურთა სანაცვლოდ სიგლითა ამით შეგუეწყალნეს და კარის მოურაობა მიგუებოძა. და მოჭიკურა ნაჳშან ღ~თისა წყალობათამან და, ვითარ მიესზღვრების ქრეთ დიდად სურვილითა და სატრფოდ ერდგულობასა მათსა, ეგრეთ არ და-ჳმურვეთ და შავეცით და მიუბოძეთ კარის მოურაობა, რათაცა წე-სითა ძუელითგან კარის მოურავთა კარის ბაჟი ჰქონებია[1]) და ანუ

[1]) იგოეთის პირდაპირ ერთის ვერსტის მანძილზე არის ღვთისმშობლის ძველი საყდარი და გარშემო ნანგრევნი. ამ ადგილს ვერ ასცდებო-

გორს და გორისა გარეშემოთა შიგან ჳსაქმეობისა, მითავე წესითა ბაჟი თქუენ გქონდეს და მითავე წესითა გორს და გორისა გარეშემოთა შიგან თქუენ საქმობდით. გუიბოძებია გორისა მოურავობა სამკჳდროდ თქუენ, ჩუენისა დიდად ერდგულთა და თავდადებითა ნამსახურისა ქეთოს ჩუხჩარეხსა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს თ ჳ ს, და თქუენისა ძმისწულისა ჩუენისა თანა-შეზრდილ-გაზრდილისა მოლარეთ-უხუცესისა თ ა ყ ა ს ა თ ჳ ს და ზ ე ვ დ გ ი ნ ი ს თ ჳ ს და თქუენისა შვილისა და მომავალისათჳს. და არასა ჟამსა შემოსრულობისა და გამოცვალებისათჳს, არასა ჟამსა შიგან არა მოგეშალოს, გქონდეს თქუენ, ჩუენისა დიდად ერდგულისა და თავდადებითი ნამსახურისა ქეთოს ჩუხჩარეხსა ავთანდილს, და თქუენისა ძმისწულისა მოლარეთ-უხუცესსა თაყასა და ზევდგინს, და არა წაგეღოს. და თუ რამე ასეთი რამე საქმე შეგჳცოდოთ, რომე მოურავობისა წაღება გჳმართებდეს, სხვითა სამართლითა გარდაგაკდევინოთ და მოურაობა არცა მაშინ წაგიღოთ. აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთ-ერისთავთა და კარისა ჩუენისა ვაზირთა და მოსაქმეთა. მეჯინიბეთა, მერემეთა, მეულუფეთა, ჯურისა და საკლავისა მკრეფელთა, ბაზიართა, მეულაყეთა, მეჯარვთ-მეძებართა, ტყისა მცველთა, მესაბანჯრეთა და ყოველთავე ჩუენთა კართა წარჩინებულთა მოსამსახურეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ მტკიცედ და სამკჳდროდ ბოძებულსა ამას ჩუენსა. და ნუცავინ რას დააკლებთ ნუ დიდსა და ნუ მცირესა და ნუმცა ვისგან მოიგონებოს ქცევა და მოშლა ამისი. როგორცა ამას ჩუენგან შეწყალებულთა და სამკჳდროდ კელისა მქონებელთა ზევდგინისძეთა ქეთოს ჩუხჩარეხსა ავთანდილისი და მოლარეთ-უხუცესისა თაყასი და ზევდგინისი ვმართებს. დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი ქ~ნს: რიჩ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა: ით: კელითა

---

და უწინ ტფილისიდგან ქართლისაკენ წამსვლელ-მომსვლელი. მცხეთიდგან მუხრანზედ მიდიოდა ძველი სავაჭრო გზა. ამიტომ უძველეს დროითგან აქ იყო გამართული „საბაჟო“ და ამილახორის მოხელენი იღებდნენ ბაჟს. დღესაც მთელი რეხის ხეობა „საბაჟოს“ უწოდებს ამ ადგილს.

პ. კ.

ყოველთა უნარჩევესისა კარის მწიგნობრისა ჩუენისა გ ლ ი მ ი გ ა-დ ა ჩ ა ს ძ ი ს ა თ ა.

შემდეგ ხვეულათ:
„მე ალექსანდრე ვამტკიცებ“ [1]).
არა ხვეულად:
ქ. მე ვახტანგს დამიმტკიცებია.
ქ. მე დემეტრეს დამიმტკიცებია.
ქ. მე გიორგის დამიმტკიცებია.
ქ. ჩუენ მეფეთ მეფე პატრონი როსტომ ვამტკიცებთ სიგელსა და ბ̃ბასა ამას. როსტომ [2]) (ხვეულით).

**6.** სიგელი მეფე გიორგი მეცხრისა, ბოძებული ზევდგინ ზევდგი-ნისძისადმი. ამ სიგლისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს პ. კარბელა-შვილის მიერ გადაწერილი, რომელიც უდრის თ. ჟორდანიას მიერ დაბეჭდილს ტექსტს (ქრ. II, გვ. 266—267)

1453. ქ ჩუენ ღმრთივ გჳრგჳნოსნისა მეფეთა მეფისა გიორგი სოლომონიან-ბაგრატიონმან, ნებითა ღ̃თისათა აფხაზთა, ქართა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და-სავლეთამდის თჳთ ჴელმწიფემან მტკიცედ მფლობელ-მპყრობელთასა. --მოვიდნენ დიდად ერთგულნი ჩ̃ნ თავდადებითა ნამსახურნი, ჩუენის მორ-ჭმისა და ყოფისათჳს დღე და ღამე მომჭირნენი, ჩუენი თავადი ყმა ზ ე ვ დ გ ი ნ იყო ქზოს ჩუხჩარეხი და გორისა მოურავი, ზ ე ვ დ გ ი ნ და ა მ ი რ ი ნ დ ო [3]) და ა ვ თ ა ნ დ ი ლ, გვეაჯნეს და მოგვახსენეს,

---

[1]) თუმცა ხელის მოწერა მშვენიერათ არის დაცული, მაგრამ გა-დაჭრით არ შეგვიძლია თქმა, რომ ხვეულში ეს სიტყვები იკითხებოდეს.

[2]) ეს ხელის მოწერა მე-XVII საუკუნეს ეკუთვნის. სხვები თანა-ნამედროვენი არიან სიგლისა.

[3]) ჩვენის აზრით ამა ამირინდომ (ძალით წაართო გურამიანთ წი-წამურში?) წამოასვენა ჯვარ-პატიოსანი, შეამკო ოქროთი და ძვირფასი თვლებით და დაასვენა ცხვილოს ციხის დაბლა ძველს „ჯვარ-პატიოს ის“ საყდარში. პ. კ.

რათამცა ერთგულობისა სიგლითა ამით შეგვეწყალნეს და მათთუის წყალობა გვეყო. ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი: ქარომის ძენი პატრონისა მეფისა ალექსანდრესაგანცა თქუენთუის მკუიდრად საუმოდ [ნაბოძები]. ნაბოძავმან კაცმან თქუენი თავი შემოგვაბეზღა და ცოტასაოდენ კანსა [ჩამოგართვით?]. კიდე მოკითხული ვქენით და ყოველსა საქმესა ზედან მართალნი და უბრალონი იყავით და ჩუენა არაფერსა სამდურავსა არას გემართლებოდით, და ქარუმიძე მკუიდრითა მამულითა თქვენვე გიბოძეთ მათითა მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, ტყითა, სანადიროთა, წყლითა, საითბითა, მზღურითა სამართლიანითა, ყუელათა ერთობ სრულად და უკლებლად. არავინ იყოს მოსარჩლე თქუენი, არცა მეუნებლე-მავნებელ-დამაკლებელი, თუინიერ თანადგომისაგან კიდე. ესე ბძანება და ნიშანი გვიბოძებია. დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა: ჲ: ქჳსა: რმა: ნოემბერს იბ, ხელითა წირქუალელის ძისა მუშრიბისა რატისითა. ხელრთული ხელის მოწერა მეფისა.

**7.** საფიცრის წიგნი, მიცემული მეფე გიორგი მეცხრის მიერ ზედგინიძე-ამილახვრისადმი. 27×16,5 სანტ., დაწერილია მოყვითლო ქაღალდზედ მრგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. თავი აკლია, თავისკენ მარჯვენა მხარე მოხეული აქვს და ისეც ძლიერ დაზიანებულია. სიგელი უნდა ეკუთვნოდეს 1460 — 1465 წლებს.

1460—1465. [მინ]დობითა და შე[ამდგომელობითა... წ̃თა თავდებობითა [და შუა]მდგომლობითა ესე... [გას]თავებელი ფიცი, პირი [გიბოძეთ ჩუენ მეფემან] პატრონმან გიორგი... თქუენთა შვილთა ას[რე და ამა პირსა ზედა რ]ომე ვიყუნეთ თქუენთა ...არას კაცის ენითა გაუკითხავა[დ]...დ არა შეგიბეზღოთ არას... შჯს კაცსა საძალოდ წასაკლენლად და დასარბ[ევად და...]ად არა დაგანებოთ, რასაცა... ონებულნი იყუნეთ, ანუ მამულ...სა თუ არა მოგიმატოთ, მისგან არა დაგამცი[რო]თ, რა ვიცით, და ან მამულისასა...ას ვისმე მიესარჩლებო-

დეთ, რაც შეგვატეოთ მართლად სამართლითა გარდაწყუეტასა და წყალობას გვეცადნეთ და უსამართლოთ არა რომელსა გარდავსწიოთ. ამისად გათავებისად თავდებად თავად ღ~თი და ქ~ე ზემოწერილნი წ~ნი მოგუიცემიან. გ ი ო რ გ ი (ხელჩართულია).

8. ანდერძის წიგნი მეჯინიბეთ უხუცესის მამისა ხევდგინიძე-ამილახვარისა, ბოძებული თავის ძმისწულის ზაქარიასადმი, 63×19 სანტ., დაწერილია ეტრატზედ ლამაზის მგვალი მხედრულის ხელით, მელანი დროთა ვითარების გამო ძლიერ მქრალია და ზოგ ადგილს გადასული. ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საეჭვოთ ამონაკითხს სიტყვებს ჩვენ კითხვითი ნიშნებს უსვამთ.

1477. ქ. სახელითა ღ~თისა, სამგუამოვნად ცნობილისა, ერთარსებისა, ერთუყოფელებისა და ერთღოთაებისა ღ~თისა მამისა, ღ~თისა ძისა და ღ~თისა სულისა წმიდისათა. თავსმდებობითა, შინდობითა და შუამდგომლობითა ყ~დ წ~ისა უხრწნელისა უმეტეს კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღ~თის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა. ძლიერებითა ცხოველის მყოფელისა პატიოსნისა ჯუარისა, ძელისა ცხორებისათა. ოხითა და შუამდგომელობითა წმიდათა და ზეცის ძალთა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, თანა მოქმედება-მდგომარეობითა წ~ისა და ყოველთა დედათა ნაშვთა უზესთაესისა წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა ი~ესითა და წ~ისა ი~ე მახარებელისა და ღ~თის მეტყუელისათა, თავსმდებობითა, შინდობითა და შუამდგომელობითა წ~თა და თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლესითა, ათორმეტთა მოციქულთა და სამოცდაათეულთა ქ~ს მოწაფეთათა, თავსმდებობითა, შინდობითა და შუამდგომელობითა წ~თა მოწამეთა გ~გი, თ~ე, დიმიტრი, პროკოპი და პანტელეიმონისითა და წ~თა ქალწულ-მოწამეთა თეკლა, ეკატერინა, ირინა, მარინა და ბარბარესითა და ყოველთა ქრისტესთჳს წამებულთა, რომელთა დასთხივნეს სისხლნი მათნი და სისხლთა დათხევითა გჳრგჳნოსან იქმნნეს, ოხითა და შუამდგომელობითა წმიდათა წინასწარ-

მეტყუელთა, მღდელთმთავართა მოწამეთა და ნეტართა მამათათა (!) და ყოველთა ღ~თისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა, რომელნი საუ-კუნითგან სათნო ეყვნეს უფალსა ჩუენსა იესოს ქრისტესა და ყოვ-ლადღცა სათნოყოფად არიან: — და ყოველთა ჩრდილოეთისა (bis) გე-დართა მორის უაღრეს უზენაესისა კათოლიკე დედაქალაქისა მცხეთისა საყდრისა და მის შინა ღ~თივ აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა, და მირონისა ღ~თმყოფელისათა, — ამათ ყოველთა ღ~თისა წ~თა თავსმდებობითა და შუამდგომელობითა მე ყოველთა კაცთა უნარჩევესმან მეჯინიბეთა უხუცესმან მამისამან ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი ანდერძისა წიგნი მოგეც შენ, ჩემსა ძმისწულსა ზაქარიას, კითხვითა და დამოწმებითა წმიდისა მეფისა გ~ზისა დავითისითა და ყოველთა ჩემთა უფროსთა მცხეთისშვილთათა, მას ჟამსა ოდეს ცოდვათა ჩემთა სიმრავლისაგან უშვილოდ დავრჩი და ჩემი კერძი შვილიერობა დასრულდა; ამასწინათაცა ერისთავნი და გაუყო-ფელნი ვიყვენით და აწცა ისრევე დავაგდე ჩემი სახლი და მამული. ასრე რომე, რაცა საყდრისა და კათალიკოზთაგან წყალობა გუქონდა და მამული მქონდა, ყუელა (!) ჩუენთუის სამკუიდროდ ბოძებული იყო და მამულიცა ერთი და გაუყოფელი იყო; აწ იმავე წესითა გაუყო-ფლად მე დავაგდე და მოგეც შენი და ჩემი კერძი ორივე ასრე და ამა წესითა, რაცა სამცხეთისშვილო წილი და საძმო ჩუენსა სახლსა მოსდომია, იმავე წესითა მოგხსენებოდეს, მცხეთას რაცა სახლი და მამული არის იგი უკლებად გქონდეს: — გარსანს გლეხნი სამნი დუინიასშვილი სოლომონასშვილნი და მიხითარას-შვილი მათითა მამულითა; ჯუარს ესემბუდასშვილი მისითა მამულითა; და ძაგნაკორნათა მალვიასშვილი ხუტლიას-შვილი და სარეკ ასატანს ვენახი სულიაური და სოფელი ხატისწობენი მისითა შესავლითა და გამოსავლითა, ამა წე-სითა, რაგუარაცა საყდრისა გ~ზთა და მეფე(თაგან) სამკუიდროდ ბოძებული არის. ესე ასრე გაგითავდეს და არავინ დაგე[ცილე]ოს, რა-გუარაცა არავინ გემართლებოდეს და რაგუარაცა სხუა(ს)ა [illegible] თუეს ესე ჩემი მამული და მონაგები, აგრეთვე (ვე)რავინ[1] შე-

---

[1] დედანში: აგრეველავინ.

გიმადლობს შენ ჩემსა ძმასა (!) ზ ა ქ ა რ ი ა ს · და შენით შვილით და მო-მავალთა ყოველთავე. (ვინ)ცა ესე ჩემი ნადუაწი და აღწერილი მოგიმა-ლოს და შეგიცვალოს, შემცაიცვალებისა სჯულისაგან ქრისტიანეთისა; რისსაცხმეცა დაეხსაბამო ღ~თი მამა, ძე და სული წმიდა, ყოველნი წმი-დანი ღ~თისანი ზეცისა და ქუეყანისანი; კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა და ნურათამცა სინანულითა იქმნების კსნა სულისა მისისა და ჩემთამცა ცოდვათა და ბრალთა მზღველი არს წინაშე ღ~თისა. და (?) ვინ (?) (და)ამტკიცოთ, ღ~ნ (ყ)ოველი გაგებული მ(ისი) მტკიცეეთს. . ამისნი მოწამენი არ(იან)...., ჯუარის მტუერო-ველი (?) ი~ე გი (?) ბ ი რ ა ჩ უ ა ს ძ ე (?) ვ ი რ შ ე ლ ი (?) გი და ს უ ლ თ ა მ ა მ ა (?) ა ნ თ ა გ უ ი ს ძ ე (?)' ნ უ გ ზ ა რ ც ო ც ხ ა ს ძ ე გ ა ხ ა მ თ ა ვ ა რ ა ს ძ ე ა მ ი რ ი ნ დ ო გ უ ი რ ი ლ ე ს შ ვ ი ლ ი დ ი მ ი ტ რ ი დეკანოზი ი ო რ დ ა ნ ე გ ა ბ რ ი ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი ბ ა დ რ ი და ერისუ-ლობით (?) მცხეთის შვილნი დაიწერა ქ~კს: რ: სამოცდახუთსა კელთა (?) ივრიად (?) ცოდვილისა მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი ს ა თ ა, მოწამეცა არს: — †

# ADDENDA ET CORRIGENDA

| | | |
|---|---|---|
| | დაბეჭდილია | |
| $2_{29}$ | ამით . . . . . . . . . | ამითა |
| $3_{11}$ | ხახვლაგისაგან . . . . . | ხახულაგისაგან |
| $4_{4}$ | დავითისაგან . . . . . . . | დავითისგან |
| $4_{10-11}$ | მესამედ . . . . . . . . | (ეს სიტყვა მერმეა ჩაწერილი გა- დაფხეკილ ადგილას) |
| $5_{8}$ | შეუვალნი . . . . . . . . | შეუვალნია |
| $5_{9}$ | ქათალიკოზისა . . . . . . | ქართლისა კათალიკოზისა (<ქ̄კზისა) |
| $5_{10}$ | დავითისაგან . . . . . . . | დავითისგან |
| $5_{11}$ | ბოძებულნი . . . . . . . | ბოძებულნია |
| $5_{18}$ | მამისა ჩემისა . . . . . . | მამასა ჩემსა (ჩ̄მსა) |
| $6_{24}$ | ქათალიკოზთა . . . . . . | ქართლისა კათალიკოზთა |
| $6_{31}$ | ვინცალა ნახოთ . . . . | ვინცა ჰნახოთ |
| $6_{33}$-$7_{1}$ | ქათალიკოზო . . . . | ქართლისა კათალიკოზო (<ქ̄კზო) |
| $13_{19}$ | მპარვთ-მეძებართა . . . | მპარავთმეძებართა |
| $16_{13}$ | ერთლთაებისა . . . . . . | ერთლთეებისა |
| $16_{14}$ | თავსმდებობით . . . . . | თავსმდებობითა |
| $16_{14}$ | შუამდგომლობითა . . . | შუამდგომელობითა |
| $16_{17}$ | ცხოველს მყოფელისა პა- ტიოსნისა . . . . . | ცხოველსმყოფელისა და პატიოს- ნისა |
| $16_{25}$ | თავმსდებობითა . . . . | თავსმდებობითა |